საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გორდეზიანი ბენიამინ პავლეს ძე

ბ. გორდეზიანი.

გორდეზიანი ბენიამინ (ბენო) პავლეს ძე (13. III. 1894, სოფ. საკაო, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 22. VII. 1975, თბილისი), მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1950). თბილისის სას. სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თსუ-ში. დაამთავრა წიგნის გაფორმების უმაღლესი კურსები ლენინგრადში. მუშაობდა გამომც. „სახელგამის" საქმეთა მმართველად, მხატვარ-რედაქტორად, მთ. მხატვრად, სახვ. ხელოვნების განყ-ბის გამგედ. ხელმძღვანელობდა ქართ. შრიფტის ექსპერ. ლაბორატორიას (1947–73). არჩეული იყო თავისსავე თაოსნობით შექმნილი ქართ. შრიფტის კომიტეტის პ/ მგ მდივნად. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართ. საშრიფტო წარმოების შემდგომი განვითარება. შექმნა მრავალი ახ. სახეობის ქართ. შრიფტი („მკაფიო", „გორდეზიანი" და სხვ.), გამოსცა თეორ. ნაშრომები: „ქართული მხედრული შრიფტი" (1955), „ქართული სასტამბო შრიფტები" (1961), „ქართული სასტამბო შრიფტების ცნობარი-კატალოგი" (1965), „პოლიგრაფიული შრიფტები" (1970). გ. ნაყოფიერად მოღვაწეობდა *ლიტ.* და ხელოვნების სფეროში. იყო საქართვ. ფუტურისტული მიმდინარეობისა და ჟურნ. „H2SO4"-ის ერთ-ერთი დამაარსებელი. მხატვრულად აფორმებდა წიგნებს. ავტორია საყურადღებო მონოგრაფიებისა: „ნიკო ფიროსმანაშვილი" (1930), „გრიგოლ ტატიშვილი" (1957), „იოსებ შარლემანი" (ქართ. ენაზე – 1955, რუს. ენაზე – 1958), „დავით ქუთათელაძე" (1959, რუს. ენაზე), после „ქართული გრაფიკა" (ქართ. ენაზე – 1959, რუს. ენაზე – 1963), „ივანე ვეფხვაძე" (1976). საერთაშ. აღიარება პოვა გ-ის მონოგრაფიამ „ზიჩი საქართველოში" (1966, II გამოცემა). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.